ჯიმი ჯალიაშვილი

პოლიტიკური ანალიზის ზოგადი საფუძვლები

ნაწილი I

პოლიტიკური ანალიზის ობიექტი

პროექტის აღწერა

წარმოდგენილი სახელმძღვანელო შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი ეთმობა პოლიტიკური ანალიზის ძირითად ობიექტებს, ხოლო მეორე, რომელსაც სულ მალე მიიღებს მკითხველი, დაეთმობა პოლიტიკური ანალიზის მეთოდებს.

გარკვეული სიახლე, ალბათ, ამ წიგნშიც იქნება შესამჩნევი. მაგალითად, ახლებურადაა ინტერპრეტირებული ზოგიერთი ისეთი საკითხი, როგორიცაა: პოლიტიკური სისტემის სტრუქტურა და ფუნქცია; პარტოგენეზისის ძირითადი ეტაპები და კრიტერიუმები; დაკონკრეტებულია ის პარამეტრები და მახასიათებლები, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს პოლიტიკური კულტურის ანალიზის ხარისხისა და სიზუსტის გაზრდას. გარკვეულ სიახლედ უნდა ჩაითვალოს, აგრეთვე, სახელმძღვანელოში გამოტანილი საკითხების შინაარსობრივი სტრუქტურა.

რასაკვირველია, წიგნი ვერ იქნება ხარვეზებისაგან დაზღვეული. მაგრამ ვიმედოვნებ, რომ იგი გარკვეულ დახმარებას გაუწევს სტუდენტებს, რომელთაც სურთ პოლიტიკურ მეცნიერებაში სპეციალიზაცია, აგრეთვე, მათ, ვინც პირველ ნაბიჯებს დგამს პოლიტიკურ სარბიელზე. შესაძლოა წინამდებარე ნაშრომმა პოლიტიკით დაინტერესებული მკითხველის ყურადღებაც მიიქციოს.

მადლიერებით მივიღებთ ნებისმიერ საქმიან რჩევას, შენიშვნებსა თუ სურვილებს.